

## იკორთის ტაძრის სამშენებლო წარწერები<sup>1</sup>

იკორთის ტაძარი სრულიად განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში არის მხატვრული და ტექნიკური თვალსაზრისით ბევრად უფრო რთული, უფრო მრავალფეროვანი არაერთი ნაგებობა, იგი ფორმისა და არქიტექტურული კონცეფციის სრულყოფილებით მათგან აშკარად გამოირჩევა. „იკორთა უნიკუმი. მისი აშენება ნამდვილად ღირდა თავმოწონებად“, - ამბობს ექვთიმე თაყაიშვილი<sup>2</sup> და გულისხმობს შთაბეჭდილებას, როგორსაც იგი ნებისმიერ მნახველზე ახდენს.

ნაგებობის შეკრული და კომპაქტური სტრუქტურა, მწყობრად ზეღმაველი მოცულობები, დახვეწილი პროპორციები, მორთულობის მაღალი არტისტიზმი და საგანგებოდ შერჩეული ადგილმდებარეობა ბადებს განცდას იმისა, რომ იგი ეპოქის, საზოგადოების, ადამიანთა (ქტიტორთა, მშენებელ-ხელოვანთა) ნატიფი კემოვნების, რაფინირებული სულიერების ნაყოფია, რასაც მისი სამშენებლო წარწერების შინაარსიც ათვალსაჩინოებს.

იკორთა მდებარეობს ცხინვალის რაიონში, სოფ. მეჯვრისხევის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლ. 15 კმ-ზე. ტაძარი მსუბუქ აქცენტად არის ჩართული ულამაზეს გარემოში, ხე-გორაკებითა და ციხე-გალაენის ნანგრევებით შემოსაზღვრულ, ორბოძლის მთის დაეაკებულ ფერდობზე. იგი წარმოადგენს გუმბათოვან ნაგებობას, რომლის გუმბათის ყელი, საკურთხეველის აფსიდის შეერთებისა და ორ ბურჯზეა აღმართული. ტაძარს აქონია ორი კარიბჭე. მათგან სამხრეთისა აღარ არსებობს. დანგრეულია დასავლეთისაც და მის ადგილზე გვიან ახალი კარიბჭე აუშენებიათ. ტაძრის ამგვარი სტრუქტურული და მხატვრული თავისებურების გამო, მისი ქრონოლოგიური ადგილი ქართული არქიტექტურის ისტორიაში არ არის ძნელი ამოსაცნობი, მაგრამ იკორთა იმ იშვიათ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც მისი ერთ-ერთი წარწერის მიხედვით ზუსტად არის დათარიღებული 1172 წლით.

იკორთის ტაძრის აღმშენებლობის შესახებ თვით ძეგლის ლაპიდარული წარწერების გარდა, სხვა წყარო არ არსებობს. ტაძარს სამი ამგვარი წარწერა აქვს, სამივე ასომთავრულით შესრულებული და ამოკვეთილი განსაკუთრებით

<sup>1</sup> სტატია წარმოადგენს ნაწილს მონოგრაფიისა იკორთის ტაძრის შესახებ, რომელიც 1988 წ. I-3.X წაეკითხე საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. იმავე წელს ნაშრომი ჩაბარდა გამომცემლობა „ხელოვნებას“. ბეჭდვა, მიზეზთა გამო, გაჭიანურდა. ამასობაში ქვეყანა აირია, გამომცემლობა დაიხურა და წიგნი აღარ გამოსულა.

<sup>2</sup> და იქვე ამბობს - „ასეთი ძეგლები განსაკუთრებით კარგად უნდა შევინახოთ“. ექ. თაყაიშვილი, მოგონებები. *მნათობი*, 1959, 9, გვ. 171. ვერ ვინახავთ კარგად ვერც იკორთას და ვერც სხვას. ბევრი მათგანის დღევანდელი რესტავრაცია არსებითი მხატვრულ-ტექნოლოგიური ხარვეშებით, რაც მთავარია უგულოდ - გრანტულ-მერკანტილური სულისკვეთებით სრულდება. მიინდა იმედი ვიქონიო, რომ ასეთივე არ იქნება იკორთის რესტავრაცია, რომელიც 1991 წელს მიწისძვრისგან დანგრეული ძეგლისა, 1998 წელს დაწყებული და მგონი უკვე დამთავრებულია. არადა, ასეთ დროს შეიძლებოდა ძეგლის ისტორიის ბევრი არსებითი საკითხის გარკვევა.

თვალსაჩინო ადგილებზე. ერთი – აღმოსავლეთი ფასადის ცენტრში გაშლილი დიდი დეკორაციული ჯვრის განივი მკლავის ქვედა ხაზს მისდევს. ორი კი დასავლეთი ფანჯრების მოხარხოების ქვეშ, ზედ კარიბჭის სახურავთან, სიმეტრიულად არის განაწილებული ფასადზე.

აღმოსავლეთი ფასადის წარწერა კარგად არის შემორჩენილი, დასავლეთისა კი, ორივე, ძლიერ დაზიანებულია. გაირჩევა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა და ცალკეული ასონიშნები, რომელთაგან ერთიანი აზრის გამოტანა შეუძლებელია. ჩანს, წარწერები XIX ს.-ის 90-იან წლებამდე ასე თუ ისე ნორმალურად იკითხებოდა. წაუკითხავთ მ. ბროსეს<sup>3</sup>, პლ. იოსელიანს<sup>4</sup>, და თ. ჟორდანიას<sup>5</sup>. თანამედროვე მკვლევარები მხოლოდ იმეორებენ მათ გადმონაწერებს.<sup>6</sup>

წარწერებს განვიხილავთ პირობითი თანმიმდევრობით და ნუმერაციით. წინასწარ ვიტყვიტ და შემდეგ შევეცდებით დაეასაბუთოთ, რომ დასავლეთის ორი წარწერა ერთდროული და ერთი ოსტატის ნახელავია, ხოლო აღმოსავლეთისა უფრო გვიან, სხვა პიროვნების მიერ არის შესრულებული.<sup>7</sup>

## I

უწინარესად, ყურადღებას იქცევს ტაძრის დასავლეთი ფასადის სამხრეთ

<sup>3</sup> M. Brosset, Voyage archeologique, VI-e r0@., SPb, 1851, p. 65-67. მ. ბროსეს იკორთის წარწერები გამოქვეყნებული აქვს ასომთავრულითაც და მხედრულითაც, რომლებშიაც გარკვევით ჩანს, რომ ისინი „თაეისუფლად“ არის გადმოწერილი (და არა „გადმოხატული“, როგორც ერთ ავტორს მიაჩნია), იმდენად თაეისუფლად, რომ ხშირად დაქარაგმებულ სიტყვებში ასოები ჩამატებულია, შეწიალებულნი – ცალ-ცალკეა მოცემული, ქარაგმის ნიშნები არ ჩანს, გრაფემების მოხაზულობა არ შეესაბამება ორიგინალს და ა.შ.

<sup>4</sup> П. Иоселиани, Икортский монастырь в Карталинии. საქართველოს სახელმწიფო მახარებელი, 1865, ნომბერი, გვ. 73.

<sup>5</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები... I, ტფ., 1892, გვ. 259-260.

<sup>6</sup> წარწერების ნაწილი დაფარულია ტაძრის დას. კარიბჭის სახურავით, ნაწილი კი, თითქოს სპეციალურად, რკინის იარაღით არის დაკორტნილი და შემდეგ გამოქარულიც. ბროსეს ინფორმაციით წარწერების გარკვეულ მონაკვეთს კარიბჭის სახურავი ადრეც ფარავდა („დასავლეთ კარს ახლანდელი ნაშენი კარიბჭე ამკობს, რომლის სახურავის ფერდები ნაწილობრივ ფარავს ორ წარწერას“), მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის მთლიანად წაეკითხა ისინი. წარწერებს მთლიანად კითხულობენ პლ. იოსელიანიც და თ. ჟორდანიაც. მაშასადამე, კარიბჭის სახურავის კიდევ ერთხელ ამალღება და წარწერების ხელყოფა შემდეგ მომხდარა, ალბათ, უფრო 1891 ან 1916 წლებში, როდესაც სედიზედ ორჯერ ჩატარდა ტაძრის საკმაოდ სერიოზული რემონტი. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ცნობილი არქიტექტორი ლ. ბილფელდი. მშენებლები იყვნენ ბერძენი ხელოსნები (ცნობები იხ. გაზ. ივერია, 1891, №188, 1892, №66; გაზ. ახალი ფურცელი, 1916, №162. არსებობს ფოტოსურათებიც და საარქივო მასალებიც, მაგრამ მათში კონკრეტულად წარწერების შესახებ რაიმე ინფორმაცია არ მოიპოვება). მშენებელთა ასეთი კონტინგენტისათვის, ბუნებრივია, წარწერებს არავითარი მნიშვნელობა არ შეიძლებოდა ჰქონოდა, ან იქნებ ეერც მიხედნენ, რომ ქვებზე რაიმე ეწერა. ქართველი დამკვეთი კი, რა თქმა უნდა, თავს არ შეიწუხებდა კარიბჭის სახურავზე ასვლით (ბროსე ამბობს – ძლივს ავძვერი სახურავზე და წარწერების წაკითხვის დროს ჩემი მდგომარეობა საკმაოდ სახიფათო იყო) და იმის შემოწმებით, თუ რა დამართეს ბერძნებმა წარწერებს. ძეგლის რესტავრაცია შემდგომშიც რამდენჯერმე ჩატარდა, მაგრამ არა მგონია, რომ XX ს.-ის პროფესიონალ რესტავრატორებს წარწერები დაეზიანებინათ.

<sup>7</sup> წარწერების შემორჩენილი ფრაგმენტები კალკაზე გადავიტანე და ფოტო გადავიღე 1974 წელს. უფრო გვიან, ძეგლის ერთ-ერთი მოხილვის დროს, ჩემთან ერთად ბრძანდებოდნენ ედიტ ნოიბაუერი და ნიკო ჩუბინაშვილი, რომლებმაც გადაიღეს და გადმომცეს ტაძრის მშვენიერი ფოტო-სურათები.

მხარეს ამოკვეთილი წარწერა, რადგანაც იგი თარიღის შემცველია. იკითხება მხოლოდ სამი სიტყვა და რამდენიმე გრაფემა (სურ. 2).

საყდ

ჰოდნ

უკუნე

მოვიტანო წარწერის მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ როგორც ასომთავრულ, ისე მხედრულ ტრანსკრიპციებს, რადგანაც ისინი ავსებენ ერთმანეთს.

კ შ ბ ო: თობ : აღინ ორთავე: ა

ცხოვრებათა: ეგდნ: სო... და ბ კნ

...ბსესა: ვრდა: პერთსა: ეეს მხლ

...თ: და: ლცწეთ: კ: წბ

ქ. სამებაო ერთობაო, აღიდენ ორთავე შინა

ცხოვრებათა ეგდნ, სუ... და ბექშენ

...ბჭესა ვრდა პერისტაესა, ესტათეს მხლ

.. ...თ და ლოცვა ჰყავთ ქკს ტუბ.

პ. იოსელიანი რამდენადმე განსხვავებულად კითხულობს წარწერას.

სამებაო ერთობაო, აღიდენ ორთავე შინა ცხოვრებათა ეგურდან, სოლომონ და ბეშქენ.....

ბჭესა ვარდან ერისტაეთ ერისტაევი..., ლოცუა-ყავთ

ქორონიკონსა ტუბ.

თაეისებურია თ. უორდანიას წაკითხვაც:

ქ. სამებაო: ერთარსებაო: აღიდე: ორთავე: შა: ცხოვრებათა:

ეე (ერისტაეთ-ერისტაენი): სულა...რ... და ბეშქენ:

...ბჭესა: ვრდ: ...ლეიარსა (?) ეეს (ერისტაეთ-ერისტაეს)

მხლ (მიხაილ?)...თ: და: ლოცვა ყავთ: ქ... ტუბ.

ვინაიდან წარწერის ამ სამი „ვარიანტის“ გარდა რეალურად ცოტა რამ გაგვანინია, მათი ურთიერთშეჯერებით უნდა ვცადოთ მისი რეკონსტრუქცია.

წარწერის პირველი შვიდი სიტყვა, ჩანს, ნაკლებად ყოფილა დაზიანებული. მათგან მეორე – სმბო=სამებაო – დღესაც ადვილად ამოსაკითხია. შემდეგი სიტყვების გახსნა-ამოცნობა კი მკვლევრებს გაძნელებიათ. მათი წანაკითხი ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისგან.<sup>1</sup> უფრო მეტიც – ისინი ერთსა და იმავე ადგილზე სხვადასხვა გრაფემებს ხედავენ. მაგ., მეორე სტრიქონში თუ ბროსესთან არის ეგ, უორდანიას წაუკითხავს ეე, თუ პირველთან ამათ მოსდევს დნ, მეორე მათ საერთოდ ვერ ამჩნევს. პ. იოსელიანი კი მათ ერთ კომპლექსად აერთიანებს და უცნაური ანთროპონიმი – ეგურდან გამოჰყავს. ასევე – სო-ს შემდეგ თ. უორდანია ამატებს რ-ს, რომელიც მის წინამორბედთ ვერ დაუნახავთ.

ყოველივე ეს და მათთან ერთად ისიც, რომ არ ვიცით ზუსტად რა ფართობი ეჭირა წარწერას და რანაირად იყო სტრიქონები ფორმირებული, გვიბიძგებს, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება გავამახვილოთ მის მყარ ერთეულზე – ქორონ-

<sup>1</sup> თ. უორდანია თვითონვე აღნიშნავს, რომ მისი „წაკითხული განერჩევა ბროსესას.“ იხ. ქრონიკები, I, გვ. 260.

იკონზე და წარწერის შინაარსთან ერთად გაეარკვიოთ მისი აზრი.

მართლაც, ეხედაეთ, რომ მიუხედავად სამი ავტორის მიერ წარწერის ესოდენ განსხვავებულად წაკითხვისა, ქორონიკონის აღმნიშვნელი გრაფემები ყველას ერთნაირად აქვს გადმოწერილი და, ამდენად, აქ საუბრო არაფერია. ტუბ-ს რიცხვითი ეკვივალენცია – 392, რომელზედაც მოქცევის (780) დამატებით მივიღებთ – 1172 წელს.<sup>9</sup>

რას აღნიშნავს ეს თარიღი? ტაძრის არქიტექტურული მონაცემებიდან გამომდინარე, ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში იგი იმთაუითვე, და სრულიად უყოყმანოდ, დამკვიდრდა ძეგლის აგების თარიღად, მაგრამ წარწერის ზემოთ მოტანილი ტრანსკრიპციებიდან არ ჩანს, რომ მასში მაინცა და მაინც ტაძრის, საზოგადოდ რაიმეს შენებაზე იყოს ლაპარაკი. კონკრეტული დასკვნის გამოტანის საშუალებას მხოლოდ წარწერის დეტალური ანალიზი მოგვცემს.

წარწერის ფრაზის – აღიდენ ორთავე შინა ცხოვრებათა – შემდეგ ლოგიკურია ნახსენებ პიროვნებას წინ მისი ტიტული უძღოდეს და ამდენად, თ. ჟორდანიას ნაეარაუდევო ეე (ერისთაეთ-ერისთაენი) სინამდვილესთან ახლოსაა (ასომთაერული მ. ბროსეს და პ. იოსელიანს შეიძლება -დ მოსვენებოდათ), მაგრამ უნდა იყოს მხოლოდობითში და არა მრავლობითში. თუ ამას მართლაც მოსდევდა ღნ, აქ შეგვიძლია აღვადგინოთ ამ ორი ასოს შემცველი ნებისმიერი სახელი. მაგ., დამიანე, ან უფრო დემნა, რომელსაც შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ იმის გამო, რომ ამ დროს ცხოვრობდა უფლისწული დემნა-დემეტრე და ფეოდალს შეეძლო მისთვის მიებაძა. არ უნდა გაგვაკვირეოს სიტყვის ბოლოეკვიცილად დაქარაგმება. ასეთი რამ სხვაგანაც გვხვდება და იკორთის წარწერებშიც ხშირია.

უფრო მყარი საფუძველი არც მომდევნო სახელის აღსადგენად გაგვანინია. სო – შეიძლება იყოს სულა ან სოლომონ, მაგრამ რაკი თ. ჟორდანიას სულას ამჯობინებს და მ. ბროსეც სუ-ს კითხულობს, ჩვენც ამ სახელზე შევიჩერდებით. თუმცა აქ ცნობილ პიროვნებას – სულა რატის-ძე სურამელს ვერ ვიგულისხმებთ. თ. ჟორდანიას კი, ჩანს, ამგვარი იდენტიფიკაცია შესაძლებლად მიაჩნდა. ალბათ, ამან განაპირობა მის მერ სუ-ს შემდეგ რ-ს „დანახვა“ და რატი სურამელის სიგელზე მითითებაც<sup>10</sup>, მაგრამ ამის შესახებ იგი პირდაპირ არაფერს ამბობს. ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ წყაროებში არ ჩანს ბეშქენიც, თუმცა ეს სახელი შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული.

წარწერის მიხედვით ამ სამი ფეოდალის სახელები და ღვაწლიც დაკავშირებულია რაღაც ბჭესთან, რომლის წინაც, უეჭველად, განმარტებითი შინაარსის სიტყვა (სიტყვები) წარწერას კლებია. აქ მხოლოდ ბჭის აშენებაზე (შებმაზე), უთუოდ, ეკლესიის ბჭის აშენებაზე შეიძლებოდა ყოფილიყო მითითება. პ. იოსელიანს ასედაც მიაჩნია და სავსებით მართალიცაა.<sup>11</sup> როგორც აღინიშნა, ტაძარს დასაუღეთით იმთაუითვე ჰქონია კარიბჭე, რომელიც გვიან დაქცეულა.

პ. იოსელიანი ცდილობს უფრო ღრმად ჩაწედეს წარწერის შინაარსს, მაგრამ მისი შემდგომი მსჯელობა სრულიად მოკლებულია რეალურ საფუძველს. მას ჰგონია, რომ 1172 წელი მხოლოდ კარიბჭის მშენებლობის თარიღს წარ-

<sup>9</sup> წარწერა გამოქვეყნებული აქვს პ. ზაქარაიასაც, მაგრამ მ. ბროსესა და თ. ჟორდანიას მიხედვით და კომენტარების გარეშე. ის ამბობს მხოლოდ, რომ თარიღის შემცველი ასო ბ აშუაშადაც კარგად ჩანსო. იხ. მისი – ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, I, თბ., 1975, გვ. 114-115.

<sup>10</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები – I, გვ. 266.

<sup>11</sup> პ. იოსელიანი დასახ. ნაშრ., გვ. 67, 72.

მოადგენს, ხოლო თვით ტაძარი VI თუ VII საუკუნეებშია აგებული ქსნის ერისთავთა წინაპრების დროს.<sup>12</sup> ამ მოსაზრებაზე ყურადღების შეჩერება აქ ზედმეტი იქნება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამას უარყოფს როგორც ტაძრის წარწერების მონაცემები, ასევე, და რაც მთავარია, მისი არქიტექტურა, მჭიდროდ დაკავშირებული XII-XIII საუკუნეთა ძეგლებთან (თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ პ. იოსელიანმა არაფერი იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ტაძრის ხუროთმოძღვრული თავისებურებების შესახებ, რომელთა მიხედვითაც იგი მაინცა და მაინც ამ კონკრეტული ეპოქის ნიმუში შეიძლება იყოს).<sup>13</sup>

შემდეგ წარწერაში სხვა პიროვნებას ვხედავთ, გამოცალკევებულს სხვა (განსაკუთრებული?) დამსახურებისათვის, თუმცა აღიდენ მასაც ისევე ეკუთვნის, როგორც დანარჩენებს. ვრდა - ვარდანია, ცნობილი სახელი ამ ხანაში და ნახსენები იკორთის კიდევ ერთ წარწერაში.

ამას მოსდევს პერთისა - მრავლისმეტყველი და ტექსტის გასაგებად მთავარი საყრდენი ლექსემა, რომელიც დღემდე სრულად არის შემორჩენილი, აღვიღად იკითხება და, რომელიც დამწერს ერთი გრაფემის, შუაში ე -ს ამოგდებით დაუქარაგმებია. (ნახ. 1. სურ. 2). პერთისა - მხოლოდ ასე შეიძლება გაიხსნას იგი და გამორიცხულია, რომ იყოს პერთსა, პერთსთავსა, მით უფრო ლეიარსა (სრულიად გაუგებარია, რამ განაპირობა მკვლევართა მიერ ამ სიტყვის ესოდენ არაბუნებრივად წაკითხვა. მისი პირველი ასო, ერთი შეხედვით, ლ-ად მართლაც შეიძლება მოეწივოს ადამიანს, მაგრამ სულ ადვილი გასარჩევია, რომ მას მუცელი მთლიანად შეკრული არა აქვს და, რომ აქ სავსებით გარკვეულად წერია პ).

ე ე - ერისთავთ-ერისთავია, რომელიც ტექსტის საერთო წყობის შესატყვისად მოცემული უნდა იყოს სახელობით ბრუნვაში და არა მიცემითში. ამდენად, მ. ბროსესა და თ. ჟორდანიასთან ამ ორი გრაფემის მომდევნო უ, შესაძლოა მათ მიერვე იყოს დამატებული სხვადასხვა მიზეზის გამო (წარწერის ცუდი მდგომარეობა, შემდეგი სიტყვის არასწორად გახსნა და ა.შ.).

მაშასადამე, ცხადად გამოიკვეთა კონკრეტული პირი, კარგად ცნობილი ისტორიული წყაროებიდან - ვარდან პერთის ერისთავი, რომელიც სხვა არავინ შეიძლება იყოს, გარდა ვარდან კოლონკელისძისა. სწორედ ვარდან კოლონკელისძეს გიორგი III-ის დროს „ერისთაობაცა ეპყრა პერთს“, იყო „კაცი დღითა მომწვისებული და ბრძოლათა შინა ძლიერი და გამოცდილი.“ ერთ დროს მეფის კარზე დიდი პატივით სარგებლობდა. შემდეგ „შურმან და მტრობამან“ დაისადგურა მათ შორის, მაგრამ მას ამის გამო ერისთაობა არ დაუქარგაეს.<sup>14</sup>

თუ რა დამსახურებისთვის არის მოხვედრილი წარწერაში ვარდან ერისთავთ-

<sup>12</sup> პ. იოსელიანი მიიჩნევს, რომ ადრე იკორთას და მის ქვეყანას ვერშა ეწოდებოდა. აქედან იკორთის გვიანდელი მფლობელების - ქსნის ერისთავების წინაპრებად იგი თვლის ვირშულებს, ქვენიფნეველებს და ბიბილურიძეებს. დასახ. ნაშრ., გვ. 81.

<sup>13</sup> კიდევ ერთი უცნაურობა! პ. იოსელიანი იძლევა ტაძრის მოკლე აღწერას და ამბობს: "Купол его есть низкий, сплюснутый, как это делалось до XI века во всей Грузии." დასახ. ნაშრ., გვ. 70. პ. იოსელიანი რომ იკორთაში ნამყოფია, ეჭვს არ იწვევს. მაშ, რატომ მოეჩვენა მაღალი დაბლად? ეითომ იმიტომ, რომ საკუთარი მოსაზრება ძეგლის ადრეული ხანით დათარიღების შესახებ გაემართლებინა? თუ ასეა, სად ნახა ძველი ქართული ტაძრები „сплюснутый“ გუმბათით?

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1959, გვ. 12. ვარდან კოლონკელისძის შეს. იხ. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 119-120.

ერისთავი<sup>15</sup>, ამის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს ტექსტის მომდევნო ორი სიტყვა. დაქარაგმებული კომპლექსი მხლ, არ არის არც მიხაილ და არც მიხეილ.<sup>16</sup> აქაც უნდა ვიგულისხმოთ მშენებლობასთან დაკავშირებული და მასში ვარდანიის წელილის აღმნიშვნელი რაღაც ქმედება. ეს შეიძლება იყოს – მომსხმელი – სიტყვა, რომელიც ძველ ქართულში იშვიათად იხმარება და, რომლის სინონიმებია მომრთველი, გამამშვენიერებელი, მომპირკეთებელი და მისთ.<sup>17</sup> ე.ი. ვარდანი იკორთის ეკლესიის გამამშვენიერებელია. ამასთანავე, რაკი შემდეგი, აწ გამქრალი, სიტყვიდან გვაქვს ასო თ-, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვარდანი იყო მომსხმელი კედელთა. მაშასადამე მისი სახსრებით მოხდა ტაძრის კედლების გაღვსვა თუ მოხატვა, ან ორივე ერთად (ამ დროს მხატვრობის ფრაგმენტები ტაძრის კედლებზე დღემდეა შემორჩენილი). წარწერის ბოლო სტრიქონში – და – მიმანიშნებელია იმაზე, რომ – ლოცვა – ეკუთვნის მასში დასახელებულ ყველა პიროვნებას.

ყოველივე ამის შემდეგ წარწერა შეიძლება ასე აღვადგინოთ:

ქ. სამებაო: ერთ(არსე)ბაო: ა(დი)დენ:

ორთავე: შ(ინ)ა: ცხოერ(ე)ბ(ა)თა:

ე(რისთავთ)-ე(რისთავი): დ(ემ)ნ(ა):

სუ(ლა): და ბ(ე)შქ(ენ): (მაშენებელნი):

(ამა): ბჭისა: ე(ა)რდა(ნ): ჰერ(ე)თისა:

ე(რისთავთ)-ე(რისთავი): მ(ომს)ხ(მე)ლ(ი)

(კედელ)თ(ა): და: ლ(ო)ც(ვა): ყ(ა)ვთ: ქ: ტუბ:

ამრიგად, წარწერის შინაარსი საესებით ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ იგი წარმოადგენს ტაძრის კარიბჭის მშენებელთა – ერისთავთ-ერისთავის – დემნას, სულას და ბეშქენის, ტაძრის მომსხმელ-გამამშვენიერებლის (და არა მხოლოდ კარიბჭისა, რადგანც ეს მცირე საქმე საგანგებო აღნიშვნის მოტივი, ალბათ ვერ გახდებოდა) ვარდან ჰერეთის ერისთავთ-ერისთავის სადიდებელ ლოცვას და შესრულებულია 1172 წელს. მაგრამ რაკი ამ დროს ტაძრის „მოსხმაც“ განხორციელებულია და კარიბჭეც აგებულია, ანუ სამუშაოთა ეს ბოლო ეტაპები დამთავრებულია, თარიღი ტაძრის აღმშენებლობის განსრულებასაც აფიქსირებს.

რა შეიძლება ითქვას წარწერაში დასახელებული ამ ოთხი პიროვნების შესახებ? დაბეჯითებით მხოლოდ ის, რომ ისინი ერთი ფეოდალური სახლის, უთუოდ, კოლონკელისძეთა ოჯახის წევრები არიან და აშენებენ საკუთარ საგვარეულო სალოცავს (იხ. ქვემოთ), რადგანაც ამგვარი მიზნით სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანთა თავშეყრა ფეოდალურ საზოგადოებაში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა.

<sup>15</sup> „ისტორიანი და აზმანი შარაქანდელთანი“ მას მხოლოდ ერისთავად იხსენიებს. ქ ც. II, გვ. 12. ისტორიული წყაროები არც თუ იშვიათად ურევენ ერთმანეთში ერისთავებსა და ერისთავთ-ერისთავებს. იხ. დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 67.

<sup>16</sup> თ. ჟორდანიას ნაეარაუდევი „მიხაილ“, ალბათ, იმით არის განპირობებული, რომ ეკლესია ამ სახელის მქონე მთავარანგელოზის ან მიქელ-გაბრიელის სახელზე ყოფილა ნაკურთხი.

<sup>17</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973. მომსხმელი - „რქუა ხუროთა მათ, მომსხმელთა მარმარილოსათა“ (H-341, 149). გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 11, 37. „მომსხმელი ამის სეფისა“ (მოზაიკისა). გ. აბრაშიშვილი, ზ. ალექსიძე, მხედრული დამწერლობის სათავეებთან. *ცისკარე*, №5, 1978, გვ. 141-142.

წარწერიდან ირკვევა ისიც, რომ ჩამოთვლილი პირები ერთი რანგისანი არ ყოფილან. მხოლოდ დემნა და ვარდანია ერისთავთ-ერისთავები, დანარჩენებს კი ეს სახელო არ ჰქონიათ. რომ ჰქონოდათ, ან ყველა მათგანის წინ უნდა ყოფილიყო ე.ე. ან მხოლოდ პირველის - დემნას წინ, რაც დაქარაგმებული კომპლექსის მრავლობითში გახსნის გარკვეულ საფუძველს მაინც მოგვეცემდა. ორი ერისთავთ-ერისთავის ერთად დასახელებაც შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც ლაპირადულ წარწერებში სანათესაოს წევრებიდან ორიც<sup>18</sup> და სამიც<sup>19</sup> კი იხსენიებიან ამ ტიტულით (სხვა საქმეა, როგორი იყო რეალური ვითარება).

## II

იკორთის ტაძრის მეორე წარწერა, ამოკვეთილი მისი დასაყრდენ ფასადის ჩრდილოეთ მხარეს, ასევე კარიბჭის თავზე, თითქოს უფრო ზოგადი შინაარსისაა, მაგრამ ისიც უშუალოდ ეხება მშენებლობასა და მშენებელს.

წარწერა მ. ბროსეს ამ სახით გადმოუწერია:

ბ: 𐌲𐌶𐌸𐌱: 𐌲𐌸𐌶𐌶: 𐌲𐌶𐌸𐌸 : 𐌸𐌶𐌸𐌸 𐌸𐌸

აზ: 𐌲𐌶𐌶𐌶𐌶𐌶𐌶 𐌶𐌶: 𐌶𐌶𐌶𐌶𐌶: 𐌶𐌶𐌶𐌶

ზს: 𐌸𐌶 𐌶𐌶 𐌶𐌶𐌶𐌶𐌶: 𐌶𐌶𐌶𐌶𐌶 𐌶𐌶𐌶 𐌶𐌶...

𐌶𐌶𐌶: 𐌶𐌶𐌶: 𐌶𐌶𐌶: 𐌶𐌶𐌶 𐌶𐌶𐌶: 𐌶

ქ. ჰმაიდაგი ქმნული კელთა შენთა, მეუფეო,

რომელმან ბესელიელსა ასწავე სიბრძნით ქმნასა

ვეცხლისა და კვალად განწმენდილსა, არქიპოსს თუთ ბრძანე

გება ტაძრისა, მეცა უღირსი პერებელ შეიწყალე.<sup>20</sup>

პ. იოსელიანის მიხედვით:

... სადგური ქმნილი ხელთა ჩუშნთა, რომელმან სოლომონს

... ასწავე სიბრძნითა ქმნა...

... შენდა მოსაესა კეთილ-განწმენდილსა აქრიპოს გება

... ტაძრისა, მეცა უღირსი ბასილი შემეწყალე.<sup>21</sup>

წარწერა შედგენილი ყოფილა ოთხი სტრიქონისგან, რომელთაგან ქვედა ორის ფრაგმენტებია შემორჩენილი. მოვიტანთ მონახაზს ბოლო სტრიქონის სამი სიტყვისა, რომლებიც თავისუფლად იკითხება.

𐌶𐌶𐌶𐌶𐌶

გ(ე)ბაჲ ტ(ა)ძრ(ი)სა მეცა

ამჯერადაც ძნელია ახსნა იმისა, თუ რამ განაპირობა ორი ავტორის მიერ

<sup>18</sup> იხ. აგარის მონასტრის სატრაპეზოს ქტიტორული წარწერა. ე. ბერიძე, აგარის მონასტრის ტრაპეზე. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VIII, 1947, გვ. 97-104; კრ. მრავალთავი, X, თბ., 1983, გვ. 275-276.

<sup>19</sup> ს. ვერნების ეკლესიის ტიმპანის წარწერაში აბუსერისძეთა სახლის სამი წარმომადგენელია ერისთავთ-ერისთავად დასახელებული. იხ. გ. ოთხმეზური, XII-XIII სს. მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც ისტორიული წყარო, თბ., 1981, გვ. 114-115.

<sup>20</sup> მ. ბროსე, დასახ. ნაშრ. გვ. 66.

<sup>21</sup> პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 71.

წარწერის ესოდენ განსხვავებული წაკითხვა. მ. ბროსეს დროს მას თითქოს არაფერი კლებია. ამას თვითონვე აღნიშნავს მკვლევარი. დასძენს მხოლოდ, რომ „სიტყვების შემოკლებები უცნაურია და აზრი გაუგებარიაო.“ წარწერას რაიმე განსაკუთრებული სიანი არ მოსვლია არც იმ რამდენიმე წლის მანძილზე, რომლის შემდეგაც პ. იოსელიანს უნახავს იგი. მიუხედავად იმისა, რომ მისეულ ტექსტში ხშირია მრავალწერტილები, მას მხოლოდ ორი თუ სამი სიტყვა კლებია. შეცვლილი კი (მთლიანად ან ნაწილობრივ) საკმაოდ ბევრია და სოგჯერ არც თუ უმიზეზოდ. ტექსტი აშკარად იძლევა ამისათვის საფუძველს.

აქედან გამომდინარე, წარწერის რეკონსტრუქციისათვის კელავ აუცილებელი ხდება ამ ორი ტრანსკრიპციის ურთიერთშეჯერება.

წარწერაში არის რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ფაქტობრივად მთელს მის შინაარსს განსაზღვრავს.

1. კმაიდგი=სადგური. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეორეს, მაგრამ ამას ხელს უშლის მ. ბროსეს მიერ ასომთავრულით გადმოწერილი ჯგ. თუმცა პირველი გრაფემის გადარჩენილი მცირე ფრაგმენტი არ გამორიცხავს, რომ იგი - ს - ყოფილიყო. - უ - და - - შეიძლებოდა ერთმანეთში არეოდა დამწერსაც და გადმოძღვებსაც. ამდენად, აქ ლაპარაკი უნდა იყოს მეუფის მიერ შექმნილი სადგურის, სავანის, მონასტრის, ანუ სიმბოლურად და უშუალოდ, იკორთის მონასტრის შესახებ. მართალია, ძველ ტექსტებში სადგურის ხმარება სავანის მნიშვნელობით იშვიათად გვხვდება<sup>22</sup>, მაგრამ ამის გამო ამგვარი დასკვნის უარყოფა მაინც არ იქნება მართებული.

2. ბესელიელი=სოლომონ. „ბიბლიის“ მიხედვით ორივე ბრძენია, მაგრამ სოლომონი უფრო აღმატებული, ბესელიელი კი ნაკლებად ცნობილი. პ. იოსელიანმა, ალბათ, ამიტომაც „არნია“ სოლომონი, მით უფრო, რომ იგი უფლის პირველი ტაძრის მშენებელიცაა. მაგრამ მ. ბროსეს მიხედვით წარწერაში ბესელიელი თითქმის სრულად, დაუქარაგმებლად ყოფილა მოცემული (კლებია მხოლოდ ბოლო - ლ), რაც მეცნიერის ცდომილებას გამორიცხავს. ამასთანავე, უფალმა სწორედ ბესელიელი აღავსო „სულითა საღმრთოთა და მეცნიერებითა... განზრახვად და ხუროთმოძღვრებად საქმედ ოქროსა მის ვეცხლისა და რეალისა... და საქმისა მისა ძელით ხურობისა“ (გამოსვლ. 31.1-7). მ. ბროსემაც ამიტომ იგულისხმა დაქარაგმებულ სიტყვაში - ესა - ვეცხლისა, რაც - და ეს არსებითია - სოლომონთან არ არის დაკავშირებული.

აქვე დაისმის ბუნებრივი კითხვა: იმ უამრავ ხელობათაგან, რომლებიც უფალმა „ასწავა“ ბესელიელს, წარწერის ავტორმა რატომ გამოარჩია მაინცა და მაინც მისი ვერცხლთან დაკავშირებული სიბრძნე? ალბათ, იმიტომ, რადგანაც მან ისიც იცის, რომ „ვეცხლის მჭედელი იქმოდა ტაძართა ვეცხლისათა“<sup>23</sup>, ანუ მშენებლობაში „იქმოდა“ საქმეს განსაკუთრებულსა და გამორჩეულს.

3. არქიპო (არქიპოს, არქიპოზ). პ. იოსელიანის თქმით, იგი ქართულ მწერლობაში სრულიად უცნობი წმინდანია. ცხოვრობდა და კეთილად იღვწოდა ფრიგიაში, იეროპოლისის მახლობლად მდებარე ხონაში, სასწაულმოქმედ წყაროსთან აღმართულ არქისტრატიგოს მიქაელის ტაძარში. წარმართთ განუზრახავთ ტაძრისა და წყაროს მოსპობა. მათთვის მიუშვიათ მდინარე, მა-

<sup>22</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, სადგური - სავანე, ეანი, მონასტერი.

<sup>23</sup> საქმე მოციქულთა, ილ. აბულაძის გამ., თბ., 1950, 19, 24.

გრამ არქიპოს ღოცვით, ნიაღვარი მიწას შთაუნთქავს და სიბოროტეს ვერ გაუმარჯვნია.<sup>24</sup>

პ. იოსელიანი თვლის, რომ აღნიშნული ტაძარი არქექტიპია იკორთისა, მაგრამ ამ მოსაზრებას რეალობასთან კავშირი არა აქვს. ლეგენდა კი იკორთის ტაძრის მშენებელთათვის, ჩანს, მართლაც ყოფილა ორიენტირი, რაც დასტურდება, ჯერ ერთი – არქიპოს ხსენებით წარწერაში. მეორეც – იმით, რომ იკორთის ტაძარი წმ. მიქელ მთავარანგელოზის სახელზეა ნაკურთხი. და მესამეც – ტაძრის ეზოში მშენიერი წყაროს არსებობით, რომელიც უხვად გადმოსჩქეფს ფერდობიდან. წყარო ყველა ქართულ მონასტერთან არსებობს, მაგრამ იკორთისა პირველ ორ ფაქტთან კავშირის ძალით ლეგენდის ორგანულ ნაწილად წარმოიდგინება. იქნებ, ამ წყაროსაც მიეწერებოდა რაიმე სასწაული, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცით. აქ ქართული მოსახლეობა დიდი ხანია აღარ არის. გვიან ოსები ჩამოსახლებულან და ამ ორი ათეული წლის წინ მათგანაც რამდენიმე ოჯახი იყო დარჩენილი, რომელთათვისაც წყალი მხოლოდ სასმელს, ტაძარი კი საშიშ და დამთრგუნველ უცხო შენობას წარმოადგენდა.

დავუბრუნდეთ წარწერას. არქიპო კეთილ-განწმენდილია იმავე სიბრძნით, რომლითაც უფალმა ბესელიელი აღავსო. დღესაც ადვილი ამოსაცნობი გრაფემა - კ - არ შეიძლება იყოს საწყისი სიტყვისა - კეალად, რადგანაც არქიპოს ხელმეორედ განწმენდა არ დასჭირვებია. მისი მშენებლად გამოცხადება კი შეცდომაა, რადგანაც ხონის ტაძარი აუგია არა არქიპოს, არამედ ვინმე ელინს, რომლის ასულს აქაური წყაროს წყლის სასწაულით ენა აუდგამს.<sup>25</sup> ამასთანავე, შეიძლება ეს უსუსტობა წარწერის ავტორის მიერ დაშვებულია არა წმინდანის ბიოგრაფიის არცოდნით, არამედ მისთვის ამ დამსახურების მიწერით საკუთარ ნამოქმედარზე ღვთაებრივი მადლის გადმოსაფენად, რადგანაც, ჩვენი ვარაუდით, სწორედ ის უნდა იყოს მშენებელ-ხუროთმოძღვარი იკორთის ტაძრისა. წარწერა იმდენად არის გამსჭვალული აღმშენებლობის პათოსით, რომ სხვა ვარაუდი გამორიცხებული მგონია.

4. იგი ყოველივე ამის შემდეგ, წარწერის დამასრულებელ, მოკლე ფრაზაში ჩნდება, და ესეც ბუნებრივია. ის უღირსია, მაგრამ იგულისხმება, რომ ზეციური ინსპირაციით მოქმედებს. მის ხელსა და გონს უფალი წარმართავს. მასაც უფალმა ასწავა ხელობა, ვითარცა ბესელიელს, უფალმა უბრძანა გება ტაძრისა, ვითარცა არქიპოს. მაგრამ უფლის მიერ ხელდასხმულ პერსონაჟთა გვერდით და მათი სიმაღლიდან აღარც თვითონ ჩანს მაინცა და მაინც უღირსი. ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშთა შორის გამორჩეული ტაძრის მშენებელს, მას, არც კქონდა საფუძველი ჭარბი კრძალვისათვის. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ვერ გაბედავდა ამდენს, ასეთ ვრცელ წარწერას ვერ მოათავსებდა ესოდენ თვალსაჩინო ადგილზე, ცალკე და უმაღლესი რანგის მოხელეთა წარწერის თანაბრად. უფრო მეტიც – ქვემოთ ვნახავთ, რომ მესამე წარწერაში იგი უშუალოდ მათ შორის აღმონინდება. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს – ისიც კოლონიკელისძეთა ოჯახის წევრია და ამ წარწერით გამოცალკეებული, უნდა იყოს არა მარტო ხუროთმოძღვარი, რაც არ იკმარებდა მისი ამგვარად წარმოჩინებისათვის, არამედ ქტიტორიც და, უთუოდ, მთავარი

<sup>24</sup> პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრ., იქვე. აღნიშნული ლეგენდის შესახებ იხ. О. А. Добняш-Рождественская, Культ св. Михаила в латинском средневековье, Петроград, 1917. И. Карасев, Гермес-Михаил и сказание о Чуде в Хонех, *Известия отъ. русскаго языка и словесности Рос. Акад. Наук*, т. XXIII, кн. 1, 1918.

<sup>25</sup> И. Карасев, დასახ. ნაშრ., გვ. 88. პ. იოსელიანი, იქვე.

ქტიტორი.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ნიშანდობლივი გარემოება: იგი ღიდად განსწავლული კაცი ჩანს, ამასთანავე, მოსურნე თავისი თეოლოგიური ცოდნის გამოიმუშავებისა და ორიგინალობისკენ მისწრაფებულის, თუმცა მიუხედავად წარმომავლობისა, განათლებისა თუ დამსახურებისა, მაინც უღირსია, სურს მორჩილად წარუდგეს უფალს. ასეთ ტექსტებში უღირსნი არიან მეფენიც, მაგრამ აქ უფრო სხვა მოტივაცია იგრძნობა. ეს, და წარწერის მოთელი ქვეტექსტი გვაფიქრებინებს, რომ იგი სასულიერო პირი უნდა იყოს.

აქვე დავძენთ: ჩვენი ეს ვარაუდები მეტ დამაჯერებლობას შეიძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში „მშენებლობის მცოდნე სასულიერო პირთა შორის, უბრალო ხუცის გვერდით, საკმაოდ მაღალი რანგის, სოგჯერ მაღალი სოციალური წრიდან გამოსული, პირებიც იყვნენ.“<sup>26</sup> ასეთად ჩანს იკორთის ამ წარწერის ავტორიც – შემონახუნებული დიდგვაროვანი, ხუროთმოძღვარი და ქტიტორი.

ახლა ეცადოთ მისი სახელის აღდგენა. მ. ბროსეს მიხედვით იგი ოთხი გრაფემით ყოფილა დაწერილი, რომელთაგანაც მას გამოჰყავს ქართულ ონომასტიკონში უცნობი და უცნაური ანთროპონიმი - პერებელ. თუ ეჭვს არ შეუიტანთ ამ ოთხი ასონიშნის არსებობაში, მათი გახსნის სხვა ვარიანტთაგან, ეს ყველაზე მარტივი და ბუნებრივი იქნება. მაგრამ ეჭვის საფუძველიც ხომ გვაქვს? პ. იოსელიანს აქ ბასილი, ანუ კომპლექსის გრაფემათა მეორე წყვილი დაუნახავს მხოლოდ. თუ –პრ– არსებობდა, იქნებ მასში ვიგულისხმოთ ბასილის სასულიერო წოდება, ამ ორი ბგერის შემცველი, ეთქვათ, პრესვიტერი (არის სხვა(ც). ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ცხადია, რომ ეს სიტყვა ბასილთანაა დაკავშირებული, რადგანაც ფრაზაში მათ წინ ჩართული – მეცა – ერთ პიროვნებაზე მიგვითითებს.

ზემორე მსჯელობის საფუძველზე სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს წარწერის ამგვარი წაკითხვა:

ქ. სადგ(ური) ქმნ(ი)ლი ვ(ე)ლ(ი)თა შენ(ი)თა მ(ე)უფეო,  
რ(ომელმა)ნ ბესელიე(ლ)სა (ა)სწ(ა)ვე ს(ი)ბრძნით ქმნ(ა)ა  
ვ(ერ)ცხლი(სა და კ(ეთილ) გ(ა)ნწმ(ე)დილსა არქიპოს თვით (უ)ბრ(ძანე)  
გ(ე)ბაჲ ტ(ა)ძრ(ი)სა. მეცა (უ)ღირსი პრ ბ(ასი)ლ(ი) შ(ემიწყალ)ე.

იკორთის ტაძრის ამ ორი წარწერის ნაშთებზე დაკვირვებისას, მიუხედავად მათი ფრაგმენტულობისა, მაინც შესაძლებელი ხდება პალეოგრაფიული მახასიათებლების გამოწველილვა. როგორც აღინიშნა, ორივე წარწერა ერთი ოსტატის მიერ და ზუსტად ერთნაირად არის შესრულებული. ესაა ქვაში ღრმად ჩაკეტილი, ძარღვიანი, სწორი ვერტიკალებისა და მოქნილი მუცელ-კიდურების მქონე, აქა-იქ ლამაზად შეწიაღებული, „ელეგენტური“ (მ. ბროსე) ასოები, რომლებიც მოწითალო საღებავით ყოფილა გაძლიერებული (საღებავის მკრთალი კვალი დღესაც ჩანს). ორივეგან სტრიქონების სიმაღლე ერთნაირია (9.5 სმ). გრაფემები მჭიდროდ არის მიჯრილი და სოგჯერ გადასულია ერთმანეთზე. მათი დაბოლოებები თანდათანობით ფართოვდება, სწორი ჩამონაკვეთით მთავრდება ან წაწვეტებულია. ხშირია ლიგატურა, განკვეთილობის ნიშანი – ორი წერტილი. სიტყვები იშვიათად არის დაქარაგმებული. ქარაგმის ნიშანი – მოკლე, ტალღოვანი ხაზი. მეორე წარწერის ზემოთ მოტანილ ფრაგმენტში (იხ. მონახაზი) მოულოდნელია ქარაგმის ნიშანი სრულად დაწერილ სიტყვაზე.

<sup>26</sup> ე. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ., 1956, გვ. 9.



წარწერაში დასახელებულია ოთხი პირი, რომლებიც მისი შესრულების დროისათვის გარდაცვლილი არიან, რადგანაც ტექსტში მათი სულის შეწყალებაზეა ლაპარაკი. მაშინ, როცა დასავლეთი ფასადის წარწერებში ნახსენები ყველა პირი ცოცხალია. პირველი მათი „ორთავე შინა ცხოვრებასა“ სადიდებლად არის დაწერილი, ხოლო მეორეში ავტორი თვითონ ითხოვს შეწყალებას აწმყო დროით. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ დასავლეთის წარწერების ორი პირი აღმოსავლეთის წარწერაშიც ფიგურირებს.

ე ე ვარდანი აქაც, უჭკველად, ვარდან ჰერეთის ერისთავთ-ერისთავია, რომელიც კვლავ ტაძრის „მოსხმისთვის“ (იხ. ზემოთ) ან მისი აღმშენებლობის საქმეში სხვა მნიშვნელოვანი წვლილისათვის არის მოხედრილი წარწერაში. ერთი ტაძრის ასაგებად რომ ერთნაირი სახელის (და ტიტულის) მქონე ორ პიროვნებას ეღვაწა, მათ უსათუოდ უნდა გასჩენოდათ ერთმანეთისგან გამორჩევის სურვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ ვარდანი ერთადერთი ერისთავთ-ერისთავია. პირველ წარწერაში კი მასთან ერთად დემნაც არის მოხსენიებული ამ ტიტულით.

ასევე, უთუოდ, ერთი და იგივე პირია აქ და მეორე წარწერაში ნახსენები ბასილიც, რომლის სახელი ამჯერად სულ ორი გრაფემით არის შემოკლებული და თავისუფლად იკითხება. მისი ამ კონტექსტში, უშუალოდ ასეთ ადამიანთა წრეში მოხედრა უკვე უცილობელი დასტურია იმისა, რაც 'ზემოთ ვივარაუდეთ. ბასილიც წარმომავლობით დიდ ფეოდალთა ოჯახიდანაა, მაგრამ მასზე მსჯელობას ვერც ამით დავამთავრებთ.

წარწერაში თითქმის სრულად არის მოცემული სახელი არსენიც, რომლის შესახებაც დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რაც მთელი ზემორე მსჯელობიდან ისედაც ნათელია: ყველა სხვასთან ნათესაური კავშირის გარეშე ამ წარწერაში ვერც ის აღმოჩნდებოდა. ვარაუდით კი, ვფიქრობ, კიდევ ერთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველიც არსებობს.

ჩვენთვის საინტერესო ხანაში ცნობილია არსენ სამძივარი, მეფის საწოლის მწიგნობარი, რომელსაც 1187 წელს თამარის ერთ-ერთი სიგელი შეუდგენია.<sup>28</sup> მათ იდენტურობას ვერ გამოვრიცხავთ ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი – როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ დროს კოლონიკელისძეები კვლავ აქტიურად იღვწიან სამეფო კარზე, მეორეც – უცნობია არსენი სამძივარის გვარიშვილობა.

არანაკლებ პრობლემატურია წარწერის დანარჩენი მონაცემების ამოცნობა.

წარწერის ხილვისას ერთბაშად თვალს იტაცებს არსენსა და ბასილს შორის მოთავსებული სიდიდით და მოყვანილობით გამორჩეული, განკვეთილობის ნიშნებით გამოყოფილი გრაფემა – ჭ, რომელსაც უშუალოდ აზის ქარაგმა. მ. ბროსე აქ მ-ს ან ჭ-ს ხედავს და ფიქრობს, რომ მას რიცხვითი მნიშვნელობა აქვს<sup>29</sup>, რაც ვფიქრობ, გამორიცხვული უნდა იყოს. იგი დღესაც იმდენად მკაფიოდ ჩანს, რომ საორჭოფოდ მიზეზს ნამდვილად არ იძლევა. რაც მთავარია, ამ კონტექსტში რაიმე რიცხვს არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს.

თ. ჟორდანიას მას „ჭიაბერად“ კითხულობს და კატეგორიულად ამბობს, რომ იგი არის „გაზრდილი მეფის გიორგისა და თანამოდუაწე მისი და თამარ მეფისა“<sup>30</sup>, სამეფო კარის მოხელე, რომელიც ისტორიული წყაროებიდან კარგად

<sup>28</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 76-82.

<sup>29</sup> მ. ბროსე, დასახ. ნაშრ. იქვე.

<sup>30</sup> თ. ჟორდანიას, დასახ. ნაშრ. იქვე.

არის ცნობილი, მაგრამ ვერც ამ მოსაზრებას დავეთანხმებით. სახელის მხოლოდ ერთი გრაფიკით დაქარაგმება, ისიც ორ, თითქმის სრულად დაწერილ, სახელს შორის, აშკარად არაბუნებრივად გამოიყურება და თავისთავად გვიბიძგებს მასში ერთის ან მეორის სახელო (ტიტული) ვიგულისხმობ.

ეს უნდა იყოს „ჭყონდიდელი“, მაგრამ თუ ამგვარი ვარაუდი მისაღებია, მაშინ იგი შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ ბასილს.<sup>11</sup> მიუხედავად იმისა, რომ ჭყონდიდელობა მრავალფუნქციურ სახელოს წარმოადგენდა და ფართოდ მოიცავდა საერო სფეროსაც, მისი მფლობელი, უწინარეს ყოვლისა, საეკლესიო პირი (შემონაზვნებული) უნდა ყოფილიყო.<sup>12</sup> ზემოთ, იკორთის მეორე წარწერის ანალიზისას გამოთქმული ვარაუდით, ბასილი სწორედ სასულიერო პირი ჩანს, ტაძრის მშენებლობის დამთავრების დროს დაბალი რანგისა, მაგრამ დასაშვებია, რომ მოღვაწეობის მოგვიანო ეტაპზე მას ჭყონდიდელობისთვის მიედწია. მოულოდნელი არაფერია იმაშიც, რომ პიროვნების ტიტული მისი სახელის წინაა და არა შემდეგ, რადგანაც „უკვე XI საუკუნეში ძველი სინტაქსური წესის მაგიერად ახალი შემოდის და ხშირად განმარტებადს სიტყვას განმარტება წინ უძღვის“.<sup>13</sup> ამის მაგალითის საძიებლად შორს წასვლა არ მოგვიხდება. აქვეა, ამავე წარწერაში - „ერისთავთ-ერისთავი ვარდან“, ან პირველ წარწერაში - „ერისთავთ-ერისთავი დემნა“.

ისტორიული წყაროებით XIII საუკუნის 50-60-იან წლებში კარგად არის ცნობილი ბასილი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, მაგრამ იკორთის ბასილის მასთან გაიგივება გამორიცხებულია, რადგანაც განსახილველი წარწერა, რაც უნდა დაშორებული იყოს ტაძრის აგების თარიღისგან, XIII საუკუნეში მაინც ვერ გადმოვა. ამასთან ერთად, გვიანდელი ბასილი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია<sup>14</sup>, იკორთისა კი მხოლოდ ჭყონდიდელი, რაც საბოლოოდ შეუძლებელს ხდის მათს იდენტიფიკაციას.<sup>15</sup>

ნ. ბერძენიშვილს დადგენილი აქვს საქართველოს სამეფო კარზე ჭყონ-

<sup>11</sup> კ. ზაქარაია იკორთის შესახებ ნაშრომის ერთ-ერთ სქოლიოში გაკერით აღნიშნავს, რომ „შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს არა „ჭიაბერი“, არამედ „ჭყონდიდელი ბასილი“, მაგრამ იქვე უარყოფს ამგვარ ვარაუდს. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 119, შენ 9.

გვერდს ვერ აუუვლი ვ. სილოგავას საინტერესო ნაშრომს, რომელიც იკორთის ტაძრის ჩვენს მიერ განხილულ წარწერებს ეხება. ნაშრომი არ არის გამოქვეყნებული. ავტორმა გამაცნო ხელნაწერი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ვერ დაეიმოწმებ. ერთს ვიტყვი მხოლოდ: მექვეყარს ეჭვი არ ეპარება, რომ ამ წარწერაში სწორედ ჭყონდიდელი იგულისხმება და, რომ ამ სახელის მატარებელი არის არსენი.

<sup>12</sup> ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 7-10.

<sup>13</sup> ი. ჯაფახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1983, გვ. 337.

<sup>14</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

<sup>15</sup> არის კიდევ ერთი ბასილი, იკორთის ბასილის თანამედროვე, თამარის მეფობის პირველ წლებში თბილისის „ლურჯი მონასტრის“ მშენებელი, იმ დროს „ქართლისა მთავარებისკოპოსოფილი“, ისიც „ულირსი“, „ერისთავთ-ერისთავისა, ქართლისა ამირათა ამირისა“ აბულასანის ძმა. ამდენად, ისიც წარმომავლობით დიდგვაროვანი. ნიშანდობლივი და საზოგადოების მაღალი კულტურის მანიფესტებელია მისი და იკორთის მეორე წარწერის შემთხვევლის ერთნაირად გაზეიადებული, რიტორიკული თხრობის მანერა, სურვილი და უნარი თეოლოგიურ სიღრმეთა წედომისა. უფრო თვალში საცემი კი ის არის, რომ ქართლში, სამეფო დომენში, მდებარე ამ ორი ტაძრის წარწერებში მეფის სახელი არ არის ნახსენები. წარწერა იხ. ვ. ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“. ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948, გვ. 96-98.

...ელ-მწიგნობართუხუცესის ხაეაზირი სახელის მფლობელთა პერსონალური რეგი. მკვლევრის დასკვნით, „დავით აღმაშენებლის გარდაცვალებიდან XII საუკუნის პირველი ნახევრის გასვლამდის მაინც ეს ორი ხელი განუყრელნი არიან“<sup>36</sup> რაც თითქოს სოვიერთ კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა იყოს ასე. დროა დრო ისინი ერთმანეთისგან დაშორებულნი ჩანან. მაგ., სვიმონი უბისის ხეუტის 1141 წლის წარწერის მიხედვით, ამ დროს, მხოლოდ ჭყონდიდელია.<sup>37</sup> ან იოანე, რომლის უბისის პერიოდი 1161-1178 წლებით არის განსაზღვრული, წყაროში მხოლოდ მწიგნობართუხუცესად იხსენიება.<sup>38</sup> ნ. ბერძენიშვილთან საერთოდ არ ჩანან 1195-1207 წლების ჩიკეთას ეკლესიის წარწერის დ...ო ჭყონდიდელი<sup>39</sup>, ან 1200 წლის ახლო ხანებით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში ნახსენები გიორგი ჭყონდიდელი<sup>40</sup>, მაშინ, როცა 1191-1204 წლებში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობს ანტონი.<sup>41</sup> არ ჩანს აგრეთვე იერუსალიმური №13 ხელნაწერის ანდერძში დასახელებული დავით ჭყონდიდელი, რომელიც პ. ინგოროყვას მოსაზრებით 1210-1220 წლებში ფლობდა ამ სახელოს.<sup>42</sup>

რთული ვითარებაა, რომელშიაც გარკვევა ჩვენს მიზნებს სცილდება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამგვარ ფონზე იკორთის ბასილის ჭყონდიდელობა არ უნდა იყოს მოულოდნელი. მაგრამ როდის შეიძლება მას ეს თანამდებობა სჭკროდა? ნ. ბერძენიშვილის კვლევის შედეგების საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ ბასილს საეკლესიო იერარქიის გარკვეული საფეხურები უნდა გაეელო (თუმცა ეს, შესაძლოა, არც დასტურებოდა), ალბათ, უფრო XII საუკუნის 80-90-იან წლებში. ამისკენ გვიბიძგებს თამარის გამეფების პირველ წლებში ქვეყნის მმართველ ძალებს შორის ურთიერთობათა თავისებურებანი.

ანტონი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია 1178 წლიდან. 1184 წელს მას ამ თანამდებობას წაართმევს („მოიფერაგებს“) კათალიკოსი მიქაელი, რომელიც ებრძვის და ავიწროებს სამეფო ხელისუფლებას.<sup>43</sup> ათეული წლების მანძილზე მეფეს კრიჭაში უდგანან კოლონკელისძეებიც (იხ. ქვემოთ), მაგრამ გიორგი III მათ არ (ვერ) სჯის. ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი თამარის მეფობის დასაწყისში კვლავ პერეთის ერისთავთ-ერისთავის პატივით ხარგებლობს, თუმცა ამის გამო სულაც არ არის გამორიცხული, რომ ოჯახის ტრადიციული ოპოზიციური გეზის შესატყვისად, მათ მიქაელთან აქონდათ კავშირი. იქნებ შემთხვევითი არაა, რომ 1190 წელს, მიქაელის გარდაცვალების შემდეგ, კოლონკელისძეებიც სწრაფად ტოვებენ სამოღვაწეო ასპარეზს.

მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიქაელის მძლავრობის რამდენიმე წლის მანძილზე, უფრო ხაწყის ეტაპზე, სანამ იგი ხელში ჩაიგდებდა ხამეფოს პირველი ვაზირის მთელს ძალაუფლებას, ამ სახელოს ერთ ნაწილს – ჭყონდიდელობას, მისივე მცდელობით, თანამსრახეელთა ოჯახის წევრი, ბასილი ფლობდა.

<sup>36</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

<sup>37</sup> უბისის ხეუტის წარწერა იხ. R. Mepisaschwili, W. Zinzadze, Die Kunst des alten Georgien. Leipzig. 1977. S. 188.

<sup>38</sup> ქც, II, თბ., 1959, გვ. 7.

<sup>39</sup> გ. ოთხმეზური. XII-XIII სს. მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც ისტორიული წყარო, თბ., 1981, გვ. 32, 70.

<sup>40</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 93.

<sup>41</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

<sup>42</sup> პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თხზ. კრებულო, I, თბ., 1963, გვ. 576-579.

<sup>43</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 296-310.

ახლა, თუ კვლავ გავიხსენებთ იკორთის არსენს, რომლის საწოლის მწიგნობართან, არსენი სამძივართან იგივეობა ზემოთ ვივარაუდეთ, იქნებ ვიფიქროთ ერთი ოჯახის რამდენიმე წევრის სამეფო კარზე ერთდროული მოღვაწეობის შესახებაც, უფრო მეტიც – მათი მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ, რადგანაც საწოლის მწიგნობარი, ჭყონდიდელის ხელქვეითი, მისი პირველი თანამემწე იყო.<sup>44</sup>

დავუბრუნდეთ იკორთის აღმოსავლეთი ფასადის წარწერას. მისი ექვსი გრაფემისგან შემდგარ ბოლო ნაწილს ქარაგმის ნიშნები არა აქვს (შეიძლება ამოტეხილია) და მას მკვლევარები შემდეგნაირად კითხულობენ: მ. ბროსე – თაღაგა, თ. უორდანი – თაღაგაჲ, პ. ზაქარაია – თეალისგუგა (კითხვის ნიშნით). არადა, თითქოს გარკვევით ჩანს, რომ კომპლექსში სამი სიტყვა იგულისხმება, ხოლო შემოკლებული, მაგრამ დაუქარაგმებელი და ერთმანეთთან მიჯრით გაერთიანებული სიტყვები იკორთის წარწერებში სხვაგანაც გვხვდება.

კომპლექსის უკანასკნელი ასონიშანი – ა – ეჭვმიუტანლად არის აჩვენებული, რადგანაც წარწერის ავტორი გარდაცვლილთა სულის შეწყალებას ითხოვს. გგ – გიორგი ან გრიგოლია. თლს, რაკი და-ს მოსდევს, გიორგისთან არის დაკავშირებული, ალბათ, მამის სახელია მისი და პირობითად, მაგრამ ერთი ანალოგიის მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად გაიხსნას – თუალოს (სამწვევრისის X საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია გიორგი თუალოს ძე<sup>45</sup>).

მაშასადამე, ქარაგმების გახსნით წარწერა შეიძლება ასე წაეკითხოთ:

ძელო ცხ(ო)ვ(ე)ლო!

შე(იწყალე(ნ) ს(უ)ლითა ე(რისთაეთ)-ე(რისთაეი)

ე(ა)რდ(ა)ნ, არს(ე)ნი, ჭ(ყონდიდელი)

ბ(ა)ს(ი)ლი და თ(უა)ლ(ოი)ს გ(იორ)გ(ი), ა(მინ).

#### IV

როგორც ვხედავთ, იკორთის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებულ სამ წარწერაში, ბიბლიური პერსონაჟების გამოკლებით, დასახელებულია რვა პიროვნება: დემნა (?), ბეშქენ, სულა (?), ვარდან, არსენი, ბასილი, თუალოი (?) და გიორგი.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ესენი არიან ერთი დიდი ფეოდალური ოჯახის წევრები და ყველას (თუალოს გარდა) თავისი წვლილი აქვს შეტანილი იკორთის ტაძრის აღმშენებლობის საქმეში. მათი გვარიშვილობის დადგენის საშუალება მოგვცა ტაძრის ძლიერ დასიანებული პირველი წარწერის სრულად შემორჩენილმა ერთმა სიტყვამ – პერეთისა, და რაკი ვიცით, რომ XII საუკუნის 60-70-იან წლებში პერეთის ერისთავთ-ერისთაეი იყო ვარდან კოლონკელისძე, ამით გაჩნდა რეალური იმპულსი მთელი შემდეგობი მსჯელობისათვის.

მაგრამ აქვე დაისმის კითხვა – რა უნდოდათ კოლონკელისძეებს იკორთაში? არსებობს ვარაუდი, რომ მათი გვარი მომდინარეობს შიდა ქართლის მთებში მდებარე სოფელ კოლონკეთიდან.<sup>46</sup> ამჟამად სოფელიც და ტოპონიმიც გამ-

<sup>44</sup> ხელმწიფის კარის გარიგება. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოაზადა ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 50.

<sup>45</sup> გ. ნუბინაშვილი, მასალები სამწვევრისის ტაძრის შესწავლისათვის. ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948, გვ. 21.

<sup>46</sup> დ. მუსხელიშვილი, კახეთ-პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს.. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 5, თბ., 1980, გვ. 589 (კოლონკელისძენი).

ქრალია<sup>47</sup>, მაგრამ იგი მითითებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს გვერდისძირის მიდამოებში, მდ. მეჯუდის მარცხენა ნაპირზე და დაფიქსირებული აქვს ქართული სოფლის ნიშნით.<sup>48</sup> აქედან გამომდინარე და იკორთის წარწერების მონაცემთა მოშველიებით, მათი გეარის ამ სოფლიდან წარმომავლობა უკვე ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს. აქვე დაუძენთ, რომ ფეოდალები ადგილის სახელიდან გეარს იღებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილი მათი სამემკვიდრეო სამფლობელო-მამული იყო.<sup>49</sup>

ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ ჩანს, რომ კოლონკელისძეთა აქაური სამფლობელო მარტო ამ სოფლით არ შემოიფარგლებოდა. მათ ხელშია იკორთაც, ანუ კოლონკეთიდან 10-12 კმ-ით დაშორებული ტერიტორია და, უთუოდ, ბევრი სხვაც. მაშასადამე, ისინი აქაური ფეოდალები არიან, აქეთ საკმაოდ ვრცელი მამული, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, ამ დროის ქართლის საერისთავოში შედის და სამეფო დომენს წარმოადგენს. მაგრამ რაკი აქ ესოდენ ძლიერი მემამულეები სხედან და ტეროტორიაც დიდია, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსიც ჰქონდა?<sup>50</sup> და კიდევ – იკორთის წარწერებში დასახელებულ კოლონკელისძეთაგან პირველის – ერისთავთ-ერისთავ დემნას, საგამგებლო ქვეყანა, რაკი იგი მითითებული არ არის (ვარდანისა მითითებულია), იქნებ სწორედ ესაა, საკუთარი მამული, რომელიც იმავდროულად სამოხელეო ადმინისტრაციულ ერთეულსაც წარმოადგენს? თუ ეს ასეა, იკორთის წარწერაში ერისთავთ-ერისთავის „უმიწაწყლოდ“ ხსენება, ხოლო მომდევნო ისტორიულ ეტაპზე ამ ტერიტორიიდან კოლონკელისძეთა გაქრობა უფრო ბუნებრივი გამოჩნდება.

რაც შეეხება ვარდანს, იგი ჰერეთის ერისთავთ-ერისთავია XII საუკუნის 60-70-იან წლებში და ეს პატივი ხელმწიფისგან აქვს ნაბოძები. ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ ის „მამულობით ჰერეთის ერისთავი არაა. რომელიდაც სხვა ხელის მფლობელია, საფიქრებელია ხორნაბუჯის ერისთავი, და „მას უამსა ერისთავობაცა ეპყრა ჰერეთს“ (ფრაზა „ისტორიანი და აზმანიდან“).<sup>51</sup> მკვლევრის მოსაზრება, ვგონებ, ასე უნდა გავიგოთ: ვარდანი „მამულობით“ ხორნაბუჯის ერისთავია და იმავდროულად განაგებს ჰერეთსაც. მაგრამ ვარდანის ხორნაბუჯელობა არაფრით დასტურდება. სამაგიეროდ, აწ უკვე საეჭვო აღარ არის მისი წარმომავლობა კოლონკეთ-იკორთიდან. ასეთ ვითარებაში, ალბათ, შეიძლება დავუშვათ, რომ იგი უწინარესად საკუთარ მამულში იყო ერისთავი, დემნაზე აღრე, ან მას შემდეგ, რაც თავისთავად მეტ დამაჯერებლობას შესძენს ვარაუდს ამ დროს აქ საერისთავოს არსებობის შესახებ.

ვარდანის ცხოვრებიდან ცნობილია, ჩვენთვის საინტერესო ერთი ეპიზოდი. XII საუკუნის 60-იან წლებში, მუსლიმურ კოალიციასთან ქართველთა ბრძო-

<sup>47</sup> ინფორმაცია მოგვაწოდა ამ მხარის მკვლევარმა ჯ. გვასალიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

<sup>48</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 207.

<sup>49</sup> თ. ენუქიძე, ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977, გვ. 33. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003, გვ. 185.

<sup>50</sup> ვახუშტის მიხედვით, მხოლოდ „შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხვა ქსნისა სხვა“. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 84. ადრეფეოდალურ ხანაში აქ ორი ადმინისტრაციული ერთეულია – ცხრაძმისხევი და ქსნისხევი, იხ. ჯ. გვასალია, იკორთა. *ციცქარი*, 1976, №4, გვ. 155.

<sup>51</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 630.

ლის დროს, ვარდანს კონფლიქტი მოუვიდა მეფე გიორგი III-სთან. „ანტაკრა ექმნეს ვიეთნიმე დიდებულთაგანი ვიდრე სადავეთაცა დაჭიდებამდე, ხოლო უფროსდა ვარდან კოლონკელისძე, რომელსა მას უამსა ერისთაობაცა ეპყრა ჰერეთს.“<sup>32</sup> რა რეაქცია ჰქონდა მეფეს ვარდანის საქციელზე, ამის შესახებ მემატრიანე არაფერს ამბობს, მაგრამ ჩანს, რომ იგი არ დაუსჯიათ, ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა არ ჩამოურთმევიათ მისთვის. ამის შემდეგ ის და მისი ოჯახის წევრები თავიანთ მამულში აშენებენ იკორთის დიდებულ ტაძარს და აქეთ ამის როგორს სწეობრივი უფლება, ისე მატერიალური შესაძლებლობა. სახელოჩამო-ორთმეული და დაკნინებული პიროვნება ამას ვერ გააკეთებდა.<sup>33</sup>

მაშასადამე, 1172 წელს ვარდანი ჯერ კიდევ ერისთავთ-ერისთავია. მაგრამ როგორც ჩანს, მალე გარდაიცვლება ან ტოვებს თანამდებობას და სარბილეზე გამოდის მისი შვილი – ივანე კოლონკელისძე, ისიც ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი (საეარაუდოდ) და ისიც „შინაგამცემი“ - აქტიური მონაწილე 1177 წელს მეფის წინააღმდეგ ორბელთა მიერ მოწყობილი აჯანყებისა.<sup>34</sup> აჯანყებულები დამარცხდნენ. ივანე შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს. არ ვიცით, მას შემდეგ რა ბედი ეწვია, მაგრამ ვიცით, რომ კოლონკელისძეებს ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა არც ამჯერად დაუკარგავთ.

გიორგი III-ის მეფობის დასასრულს და თამარის მეფობის პირველ წლებში ჰერეთის ერისთავთ-ერისთავის სახელო კელაე კოლონკელისძეს – საღირს უპყრია.

არც ივანე და არც საღირი იკორთის წარწერებში არ მოიხსენიებიან. ეს უკვე სხვა თაობაა. მათ ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

მეფე გიორგის გარდაცვალების (1184 წ.) შემდეგ, საქართველოს სამეფო კარზე მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. დიდებულთა ნაწილი ცდილობს ახალგაზრდა მეფე-ქალს ძალაუფლება შეუკეცოს. მეფის მოწინააღმდეგეთა ერთ ფრთას მეთაურობს კათალიკოსი მიქაელი, რომლის თანამზრახველებაც სემოთ კოლონკელისძეები ვივარაუდეთ. ბასილის ჭყონდიდელობა (ამ დროს) და არსენის საწოლის მწიგნობრობა რომც არ შეეფერებოდეს სინამდვილეს, ასეთ ვითარებაში მათი და, რა თქმა უნდა, საღირის, როგორც დიდი ფეოდალების, პოლიტიკური აქტიურობა ისედაც იგულისხმება და ოჯახური ტრადიციის შესატყვისად, მეფისადმი კელაე ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში ვლინდება. მათი ამგვარი განწყობილების თავისებურ ანარეკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იკორთის არც ერთ წარწერაში მეფე არ არის ნახსენები, რაც ამ დროის ლაპიდარულ წარწერებში იშვიათად შეინიშნება.

ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო მეტყველია ის მძიმე შედეგები, კოლონკელისძეებმა რომ იწვინეს მეფესთან თავიანთი დამოკიდებულების გამო. 1191 წელს საღირ კოლონკელისძემ დაკარგა ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა<sup>35</sup> (მიქაელის გარდაცვალებისთანავე). მას ეს თანამდებობა ასათ გრიგოლის ძემ

<sup>32</sup> ისტორიანი და აზმანი შარაენდედთანი, ქც, II, თბ., 1959, გვ. 12.

<sup>33</sup> ისტორიული წყაროებით არ დასტურდება პ. ინგოროყვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ 1163 წელს ვარდანი გადაყენებულ იქნა სახელმწიფო ღალატის გამო და ერისთავობა მიეცა გრიგოლ ასათის ძეს. იხ. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თხზ. კრებული, I, თბ., 1963, გვ. 162-172.

<sup>34</sup> შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება . . . გვ. 120-121.

<sup>35</sup> ამ ფაქტის თარიღად მკვლევარები სხვადასხვა წელს ასახელებენ. ჩვენ ვიზიარებთ ნ. შოშიაშვილის დათარიღებას. იხ. ნ. შოშიაშვილი, XII-XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი. ცისკარი, თბ., 1965, №9, გვ. 143.

„მისტაცა მძლავრობით და მორეუით“ და გადასცა საკუთარ შვილს – გრიგოლს.<sup>56</sup> ცხადია, ეს „მიტაცება“ მეფის სანქციის (აღბათ, ფარული სანქციის) გარეშე ვერ მოხერხდებოდა. მოძალადის ქმედება საბოლოოდ მაინც უზენაეს ხელისუფალს უნდა დაემტკიცებინა, რადგანაც ერისთავობა ადმინისტრაციულ-სამოხელეო პატივია<sup>57</sup> და მისი ბოძება მხოლოდ მეფის პრეროგატივას წარმოადგენდა. გრიგოლს ერისთავობა სწორედ მეფემ უბოძა.<sup>58</sup>

ამით თამარმა საბოლოოდ ჩამოიცილა არა მარტო საღირი, არამედ ათეულ წლებით დაღატაკებულ მიდრეკილი მთელი მისი საგვარეულო. მას შემდეგ კოლონკელისძეები ისტორიის ასპარეზზე აღარ გამოჩნენილან.

ამ დროს ვარდანი, უთუოდ, დიდი ხნის გარდაცვლილია. არსენიც და ბასილიც, აღბათ, მომდევნო ათეული წლის მანძილზე აღესრულნენ და რომელიმე შთამომავალმა, მათ მიერ აშენებული საგვარეულო სალოცავის – იკორთის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკეთა მათი სულის მოსახსენიებელი წარწერა.

კოლონკელისძეები აღარც საკუთარ მამულში ჩანან. XIII საუკუნის პირველი წლებიდან აქ იწყება ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბების რთული პროცესი, რომელშიაც სხვა ძალები და სხვა გვარები მონაწილეობენ.<sup>59</sup>

კოლონკელისძეებმა, შესაძლოა, მალე იკორთაც დაკარგეს.

ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უთვალსაზიროესი ნიმუშის – იკორთის ტაძრის აღმშენებლობის ისტორიული პერიპეტეები, მისი წარწერების შინაარსის მიხედვით.

## Tamaz Sanikidze

### Building Inscription of Ikorta Church

Apart from its architectural merits, Ikorta cruciform-domed church is also famous for its inscriptions, one of which indicates exact date of its erection – 1172. Regrettably, these inscriptions are severely damaged (even partially vanished since the 19<sup>th</sup> c.), due to which their reading and contents had caused and still causes difference in opinions (M. Brosset, P. Ioseliani, T. Zhordania, P. Zakaraia). The author proposes new reconstruction and interpretation of these inscriptions.

1. “Ch. The Most Holy Trinity, glorify in both lives Eristavt-Eristavi Demna, Sula and Beshken, builders of this gate, Vardan Eristavt-Eristavi, establisher of the walls and prey for them. Ch. taeb (1172)”. Vardan, mentioned in the inscription, is known in Georgian literary sources – he was made eristavi (ruler) of Hereti by the king George III. His family name was Kolonkelidze and other persons named in the inscription were most likely to belong to the same family. Among them, Demna was also honoured with the title of eristavi-eristavi, while others were less promoted.

2. “Ch. The dwelling made by Thy hands, O, Lord, Who had taught Bezaleel to produce silver with wisdom and had ordered well-sanctified Archippus to build the church. Have mercy upon me, unworthy pr. Basili”. Bezaleel named in the inscription is

<sup>56</sup> ისტორიანი და აზმანი, ქც, II, თბ., 1959, გვ. 34.

<sup>57</sup> ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 133.


<sup>58</sup> მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი . . . გვ. 190.

<sup>59</sup> გ. არახაძია, ძველი ქართული საგვარეულო მატრიანეები, თბ., 1988, გვ. 82-83. დაწერ. იხ. ჯ. გეასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967.

the builder of the Ark of Covenant mentioned in the Bible, while Archippus is a participant of the famous miracle of St. Archangel Michael in Chonas. Basil – presumably, builder-architect of the church, as evidenced by the next inscription, is a member of the Kolonkelidze family and the major donor of the church.

3. **“Live-giving Cross, have mercy upon the souls of Eristavt-Eristavi Vardan, Arseni, Archbishop of Chkondidi Basili and Giorgi Tualoi. Amen”**. Here Vardan eristavt-eristavi is again mentioned, while Basili is most likely to be Archbishop of Chkondidi and, respectively, Vazirtukhutsesi (Prime Minister), Mtsignobartukhutsesi (Chancellor) of the united Georgian kingdom. Arseni might be identified with Arseni Samdzivari, compiler of King Tamar’s sygelion in 1187.

The Kolonkelisdzes should originate from the village Kolonketi (non-extant at present) in Shida Kartli. Their domain seems to be quite vast, forming an eristavate, which was most likely headed by Demna. It is known that Vardan’s son, Ivane Kolonkelisdze, took part in 1177 rebellion of the Orbeliani family and Prince Demna against George III; however, this did not cost him the eristavi title, which the family had lost in the reign of King Tamar – in 1191 Sagir Kolonkelidze was deprived of the title eristavt-eristavi of Hereti (probably, due to his opposition to the king); since then the Kolonkelisdze family is no more seen on the historic arena and in the 13<sup>th</sup> c. Ksani eristavate was formed on this territory.




1. იკორთა. ხედი დასავლეთიდან



2. იკორთა. წარწერა (№1) დასავლეთ ფასადზე



3. იკორთა. წარწერა (№2) დასავლეთ ფასადზე



4. იკორთა. წარწერა აღმოსავლეთ ფასადზე



5. იკორთა. წარწერა აღმოსავლეთ ფასადზე (ფრაგმენტი)